ავეჯის ფაბრიკა და მრავალფუნქციური კომპლექსი

გიორგი კოპალიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სანდრო რამიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებშიც ნაშრომი არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო ფორმების შესაბამისად.

გიორგი კოპალიანი 14.07.2016

აბსტრაქტი

სადიპლომო ნაშრომი წარმოადგენს ქ. ხაშურში არსებული პრობლემის გადაწყვეტის გზას არქიტექტურის ჩარევით. ტექსტში მკაფიოდაა დაფიქსირებული პრობლემა, ტერიტორიის ანალიზი და გარემოპირობები. ამ პრობლემის მოგვარების აუცილებლობა და წარმოდგენილი პროექტი. პროექტზე მუშაობისას გამოიყო რამდენიმე ეტაპი. თითოეული მათგანის გავლისას ნამუშევარი იხვეწებოდა და იღებდა საბოლოო სახეს.

პროექტი წარმოადგენს კომპლექსურ არქიტექტურას. თემა: **„ავეჯის ფაბრიკა და მრავალფუნქციური კომპლექსი“.** საპროექტო ტერიტორია - ხაშურთან გამავალი ავტომაგისტრალის უახლოესი მონაკვეთი. ძირითადი ფუნქცია ავეჯის მწარმოებელი ფაბრიკა. პროექტი შემუშავებულია ესთეტიური სილამაზის, ფუნქციების გათვალისწინების, მწვანე არქიტექტურის ელემენტებისა და მთლიანი კომპოზიციის შეზავებით. კომპლექსი ემსახურება წარმოჩენილი პრობლემის ერთგვარ მოგვარებას, ადგილოვრივი მოსახლეობის განვითარებას, მათი მგომარეობის გამოსწორებას და უკეთესი პირობების შექმნას. მუშაობისას პრიორიტეტი მიენიჭა საერთო კომპოზიციურ მხარეს, მხატვრული და ტექნიკური ელემენტების თანხვედრას, ადამიანისთვის სრულყოფილ მომსახურებას და ხანგრძილივი შესვენებისთვის საინტერესო და მიმზიდველი გარემოს შექმნას.

ვფიქრობ წარმოდგენილი პროექტი პასუხობს ყველა წარმოქმნილ კითხვას და მკაფიოდ წარმოაჩენს, როგორც ცალკეულ ელემენტებს, ასევე მის სრულ სახეს. ეჭვგარეშეა, მსგავსი ტიპის პროექტი დიდ ცვლილებას შეიტანს არსებულ მდგომარეობაში არამარტო კონკრეტულ ადგილას, არამედ უფრო ფართო მასშტაბებით.

მადლობა

სანდრო რამიშვილს ხელმძღვანელობისთვის

მარინა მაისურაძეს ნაშრომის რეცენზირებისთვის

ვენის გაოყენებითი ხელოვნების უნივერსიტეტს ვორკშოპის ჩატარებისთვის

ნინო ახობაძეს, თათია სხირტლაძეს, გიგა ხატიაშვილს ვორკშოპის ორგანიზებისთვის

Christoph Kaltenbrunner, Thomas Feichtner, Dr. Hemut Walter Lang ლექციებისა და კვლევის ჩატარებისთვის